განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

არასასურსათო პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ძირითად მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი). კოდექსის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა მინიმალური რეგულირებითა და ტექნიკური ბარიერების დაწესებით, რათა დაცულ იქნეს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და გარემო. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის არსებობის შემთხვევაში.

ბაზარზე ზედამხედველობას საქართველოში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) იმ პროდუქტებზე, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია სააგენტო. ბაზარზე ზედამხედველობის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი პროდუქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც ემსახურება ისეთი მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვას, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების თუ საკუთრების დაცვა, სამართლიანი კონკურენციის პირობების შექმნა და განვითარება. შეუსაბამო ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტები რისკის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, არამედ, ასევე, ხელს უშლის სამართლიან კონკურენციას კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის. შესაბამისად, აუცილებელია ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება, ეკონომიკური ოპერატორებისთვის მკაფიო, გამჭვირვალე და ყოვლისმომცველი წესების დადგენით, შესაბამისობის კონტროლის გაძლიერებითა და აღმასრულებელი ორგანოების შესაძლებლობების განვითარებით.

ამასთან, 2014 წელს საქართველოს, ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების III–A და III–B დანართებით საქართველოს დაეკისრა ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საკანონმდებლო დაახლოების

ვალდებულება როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე. აღნიშნული გულისხმობს საქართველოს ვალდებულებას, სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, არასასურსათო პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების მიმართულებით, დაახლოების პრიორიტეტების გათვალისწინებით, მოახდინოს ეტაპობრივი დაახლოება. კოდექსის ცვლილების პროექტი გარკვეულწილად მიზნად ისახავს სწორედ ევროკავშირის შესაბამის სამართლებრივ აქტებთან დინამიურ დაახლოებას. პროექტი მიზნად ისახავს შესაბამისობის უზრუნველყოფას „პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობისა და შესაბამისობის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1020 რეგულაციასთან (შემდგომში - N2019/1020 რეგულაცია). აღნიშნული რეგულაციით, ასევე, ცვლილება შევიდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის (EC) 765/2008 რეგულაციაში, რომელიც ადგენდა მოთხოვნებს აკრედიტაციისა და ბაზარზე ზედამხედველობისადმი, პროდუქციის რეალიზაციასთან მიმართებით და რომლის ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვალდებულება განსაზღვრული არის ასოცირების შეთანხმების III–B დანართით. აღნიშნული ცვლილების შედეგად, (EC) 765/2008 რეგულაციაში ძალადაკარგულად გამოცხადდა ბაზარზე ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმები. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული კანონმდებლობის N2019/1020 რეგულაციასთან დაახლოების საკითხი.

ასევე, გარკვეული სახის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ობიექტის მფლობელის მიერ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის დროის გარკვეულ პერიოდში შეუტყობინებლობისათვის (დაუყოვნებლივ 24 საათის განმავლობაში ან 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა) განსაზღვრული ჯარიმების ოდენობაც მცირეა ამ მოთხოვნის დარღვევის შედეგად შესაძლო მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით.

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში არსებულმა პრაქტიკამაც აჩვენა, რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში, საჭიროა გაიზარდოს გარკვეულ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე (ბუნებრივი გამოქვაბული ან მღვიმე, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობა, ლიფტი, ესკალატორი) მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ობიექტის მფლობელის მიერ სააგენტოსთვის დროის გარკვეულ პერიოდში შეუტყობინებლობისათვის (დაუყოვნებლივ 24 საათის განმავლობაში ან 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა) განსაზღვრული ჯარიმების ოდენობაც, ვინაიდან, მცირე საჯარიმო თანხების შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდეს ამ ობიექტებზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის სააგენტოსთვის შეუტყობინებლობას.

გარდა ამისა, კოდექსის მოქმედ რედაქციაში სამშენებლო სამართალდარღვევებისათვის დადგენილი ჯარიმების ოდენობა არის დიფერენცირებული იმის მიხედვით, თუ სად ჰქონდა ადგილი სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, კერძოდ, მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, “საქართველოს ტყის კოდექსითა” და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული

მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო - სარეკრეაციო ზონებში, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, თვითმმართველ ქალაქში, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - ქალაქში, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - დაბაში ან სოფელში.

ამასთან, კოდექსის მოქმედი რედაქციით ამა თუ იმ კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დადგენილი დიფერენცირებული ჯარიმების ოდენობები სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და სამართალდარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ქმნის გარკვეულ დისბალანსს. მაგალითად, კოდექსის 49-ე მუხლის მოქმედი რედაქციით მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, "საქართველოს ტყის კოდექსითა" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო - სარეკრეაციო ზონებში, აგრეთვე, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ჯარიმდება 30 000 ლარით, იგივე ქმედება თვითმმართველ ქალაქში ჯარიმდება - 500 ლარით, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - ქალაქში - 200 ლარით, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - დაბაში ან სოფელში - 50.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ერთი და იმავე სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დადგენილი ჯარიმების რაოდენობებს შორის სხვაობა აშკარაა. თითქმის ანალოგიური შემთხვევებია ყველა სხვა სამშენებლო სამართალდარღვევების სახეებთან დაკავშირებულ სანქციების მუხლებში. თითოეული კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ერთი საჯარიმო თანხის განსაზღვრა, აღმოფხვრის იმ აშკარა სხვაობას ჯარიმის თანხებს შორის, რაც არის კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში.

ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე, მათი მაღალი რისკის შემცველი სტატუსიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული ერთი და იმავე სამართალდარღვევაზე საჯარიმო თანხების დიფერენცირება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეული კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის განისაზღვროს ერთი საჯარიმო თანხა, კერძოდ კი ის მაქსიმალური თანხა, რაც დადგენილია მოქმედ რედაქციაში არსებულ მუხლებში და მათი ოდენობა არ უნდა იყოს დიფერენცირებული იმ პრინციპით, თუ სად იქნა ჩადენილი სამართალდარღვევა.

გარდა ამისა, პროდუქტის კოდექსის მოქმედი რედაქციით, არსებულ მუხლებში საჯარიმო თანხებს შორის არსებული აშკარა სხვაობა და მუნიციპალიტეტის დასახელებაში - ქალაქში ან თუნდაც მუნიციპალიტეტის დასახელებაში - დაბაში ან სოფელში სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დადგენილი თანხები არის მცირე, შეიძლება ითქვას მიზერულიც ამავე მუხლებით სხვა ტერიტორიულ ერთეულებში ჩადენილ იმავე სახის სამართალდარღვევაზე.

შესაბამისად, მომავალში დიდი ალბათობით იქნება იმის რისკი, რომ თუნდაც დაბაში ან სოფელში მცირე ჯარიმების გამო მეწარმე სუბიექტის მხრიდან ადგილი ჰქონდეს თუნდაც სანებართვო პირობების დარღვევის ან/და შეუსრულებლობის, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის ან სხვა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებს, მაშინ როდესაც ადგილი აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობას

ან თუნდაც მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის დროს საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ცვლილება შედის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, კერძოდ 64-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 69-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში, რომლებიც განსაზღვრავს სტანდარტის სავალდებულოდ გამოყენების პირობას და ზუსტდება რომ სტანდარტის გამოყენება სავალდებულო ხდება არა მხოლოდ ტექნიკურ რეგლამენტში კონკრეტული სტანდარტის აღნიშვნისას, არამედ საქართველოს მთავრობის სამართლებრივ აქტში შესაბამისი მითითებისას, რომლებიც ადგენენ კონკრეტულ მოთხოვნებს. არსებული პრაქტიკით, არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით, რომლებიც არ არის ტექნიკური რეგლამენტის სახით დამტკიცებული, ხოლო მათში სტანდარტის მითითებით ვერ განხორციელდება სავალდებულოდ გამოყენების ვალდებულების დაწესება, რადგან კანონის მოქმედი რედაქცია მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტის ფარგლებში აქცევს ამ უკანასკნელს. მაგალითად, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 და N257 დადგენილებებით. მითითებული წესები ითვალისწინებს კონსტრუქციულ პროექტის/სქემის წარდგენას, როგორც ერთ-ერთ სავალდებულო სანებართვო დოკუმენტაციას. იმის გათვალისწინებით, რომ იგეგმება შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დაპროექტებისა და გაანგარიშების პროცესში საქართველოს სტანდარტების, მათ შორის ევროკოდებისა და შესაბამისი ეროვნული დანართების დანერგვა და მათი სავალდებულოდ გამოყენება, საჭიროა მითითებულ დადგენილებებში შესაბამისი აღნიშვნა. თუმცა კოდექსის მოქმედი რედაქცია სტანდარტის სავალდებულოდ გამოყენებას მხოლოდ ტექნიკურ რეგლამენტში მითითებით უშვებს და ეს უკანასკნელი პრობლემას ქმნის საკითხის დარეგულირებაში, რადგან N255 და N257 დადგენილებები არ არის დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის სახით.

აქედან გამომდინარე, გარკვეულ სფეროებში შესაბამისი საკითხების მოწესრიგების მიზნით, საჭიროა ცვლილება შევიდეს კოდექსის მოქმედ რედაქციაში და სტანდარტის სავალდებულოდ გამოყენების შესაძლებლობა დაშვებულ იქნას საქართველოს მთავრობის სამართლებრივ აქტებში შესაბამისი მითითების შემთხვევაში.

პროექტით ასევე ხდება პროდუქტის კოდექსში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გამოსწორება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

წარმოდგენილი პროექტის მიღების აუცილებლობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. პირველ რიგში, აღსანიშნავია ცვლილებები, რომლებიც შეეხება არსებულ ტერმინთა დახვეწასა და ახალი ტერმინების დამატებას ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1020 რეგულაციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ასევე, მნიშვნელოვანია ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგიის თაობაზე ჩანაწერის გაჩენა და კოდექსის სტრუქტურის ცვლილების ფარგლებში ბაზარზე ზედამხედველობის შესახებ III[1] თავის დამატება, რითიც უზრუნველყოფილი იქნება მეტი მკაფიოობა ბაზარზე ზედამხედველობის სისტემაში მონაწილე სუბიექტებისთვის და პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში.

ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მუხლობრივი დაახლოება, რომელიც გამომდინარეობს ასოცირების შეთანხმებიდან დინამიური დაახლოების ფარგლებში და მიზნად ისახავს ზემოხსენებულ რეგულაციასთან დაახლოებას, მნიშვნელოვნად გაზრდის თავსებადობას ევროკავშირის სისტემებთან. შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის მიზნების განსახორციელებლად და მეტად დახვეწილი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემდგომ, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დადგენილი ჯარიმები ამ დარღვევების შედეგად მოსალოდნელი საფრთხეების შესაბამისი იქნება.

აღნიშნულ პროექტს ექნება აგრეთვე პრევენციული ხასიათი იმ კუთხით, რომ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების მფლობელების მხრიდან, გაზრდილი ჯარიმების შემთხვევაში უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ობიექტებზე უსაფრთხოების წესების დაცვას, რაც თავის მხრივ შეამცირებს იმ საფრთხეებს, რომელიც შეიძლება მიადგეს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან გარემოს. აღნიშნული კი პირდაპირ კავშირშია იმ გარემოებასთან, რომ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ავარიის/უბედური შემთხვევის ფაქტები.

გარდა ამისა, გარკვეული სახის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე (ბუნებრივი გამოქვაბული ან მღვიმე, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობა, ლიფტი, ესკალატორი) მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ობიექტის მფლობელის მიერ სააგენტოსთვის დროის გარკვეულ პერიოდში შეუტყობინებლობისათვის (დაუყოვნებლივ 24 საათის განმავლობაში ან 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა) გაზრდილი ჯარიმის შემთხვევაში შემცირდება ობიექტის მფლობელების მხრიდან, ობიექტზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ სააგენტოსთვის შეუტყობინებლობა. აღნიშნული კი სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს შესაძლებლობას მისცემს დროულად მოახდინოს რეაგირება მომხდარ ავარიის/უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს, რომ ეფექტურად და დროულად იქნეს გამოკვლეული და დადგენილი ინციდენტის გამომწვევი მიზეზები და გარემოებები და ასევე, დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

ამასთან, თითოეული კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის, ერთი საჯარიმო თანხის განსაზღვრა და სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით დიფერენცირებული ჯარიმების ოდენობის გაუქმება აღმოფხვრის იმ აშკარა სხვაობას ჯარიმის თანხებს შორის, რაც არის კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში.

გარდა ამისა, გარკვეულწილად მოხდება საჯარიმო თანხების გაზრდა, ვინაიდან, თითოეული კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის განისაზღვრება ერთი საჯარიმო თანხა, კერძოდ კი ის მაქსიმალური თანხა, რაც დადგენილია პროდუქტის

კოდექსის შესაბამისი მუხლების მოქმედ რედაქციაში, ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებს სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტებს.

შემოწმების აქტის შედგენის ვადებთან და მასში შესატან ინფორმაციასთან დაკავშირებული ცვლილებით სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო უფრო ეფექტურად განახორციელებს მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებას - მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას, ვინაიდან, კანონში ზუსტად იქნება დადგენილი მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადაში უნდა შედგეს შემოწმების აქტი. ასევე, ამ აქტში აისახება ინფორმაცია მხოლოდ მითითების შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ.

ასევე, პროდუქტის კოდექსის შესაბამისი მუხლებიდან აირსავსები და აირგასამართი სადგურების ამოღებით გასწორდება კანონში არსებული ხარვეზი.

ამას გარდა, კანონპროექტის მიღების შედეგად, მოხდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა შესრულება, გაჩნდება ქმედითი საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების უფრო ეფექტიანად განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს განვითარებას და შეამცირებს საქართველოს ბაზარზე კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამო ან/და საფრთხის შემცველი პროდუქტების ხელმისაწვდომობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის საფუძველზე, კოდექსს ემატება 3[1] მუხლი, რომლის საფუძველზეც შემუშავდება ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სტრატეგია. ამასთან, ცვლილების ფარგლებში, ახალი რედაქციით ყალიბდება მწარმოებლის, დისტრიბუტორის, ავტორიზებული წარმომადგენლის, ბაზარზე განთავსების, პროდუქტის გამოთხოვის, პროდუქტის ამოღებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ტერმინთა განმარტებები და, ასევე, კოდექსს ემატება ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს, შეუსაბამობის, მაკორექტირებელი ქმედების, ნებაყოფლობითი ღონისძიების, რისკის, საფრთხისა და სერიოზული საფრთხის შემცველი პროდუქტის, შემზღუდველი ღონისძიებისა და მომხმარებლის ტერმინთა განმარტებები.

კანონპროექტის მიხედვით, კოდექსს ემატება III[1] თავი, რომელიც არეგულირებს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილების, ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების, ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს. 13[1] მუხლი ადგენს III[1] თავის მოქმედების სფეროს, რომლის მე-3 ნაწილით დაზუსტდა, რომ აღნიშნული თავით რეგულირდება როგორც საქართველოში წარმოებულ, ასევე, იმპორტირებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების წესი, რაც მოქმედი რედაქციის ფარგლებშიც ხორციელდებოდა. ამავე თავით რეგულირდება ბაზარზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესიც. კოდექსის III[1] თავში ერთიანდება კოდექსის არსებული რედაქციის ყველა ის ნორმა, რომელიც ეხება ბაზარზე ზედამხედველობის საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული

ნორმების სისტემატიზებასა და მიკვლევადობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ცხადდება ყველა ის მუხლი/ნაწილი, რომლის გადმოტანაც ხდება აღნიშნულ თავში.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, პროდუქტის განადგურება აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ შემზღუდველ ღონისძიებას, რომლის ვალდებულებაც ეკონომიკურ ოპერატორს ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შორის, ბირთვულ ნაერთებს, ან თუ პროდუქტი შეიცავს სხვაგვარ საფრთხეს, კერძოდ, პროდუქტი გადამუშავების შემდეგ შესაძლოა ინარჩუნებდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან/და გარემოსთვის. ცვლილების პროექტით, ძალადაკარგულად ცხადდება პროდუქტის განადგურების, როგორც დამოუკიდებელი შემზღუდველი ღონისძიების, მარეგულირებელი ნორმები და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, პროდუქტის ბაზრიდან ამოღების ან/და გამოთხოვის დადგენილების აღსრულების მიზნით, დაავალოს ეკონომიკურ ოპერატორს აღნიშნული პროდუქტის განადგურება, მისი სხვაგვარად გამოუსადეგრად ქცევა, ექსპორტი ან იმგვარად გადამუშავება, რომ პროდუქტი აღარ წარმოადგენდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან/და გარემოსთვის.

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილების პროექტის 13^4 მუხლის მე-11-მე-14 ნაწილებით საკანონმდებლო დონეზე ხდება სსიპ - შემოსავლების სამსახურსა და სსიპ - ბაზარზე ზედმახედველობის სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების საკითხების მოწესრიგება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხები ანალოგიურად რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტების ფარგლებში. ამასთან, ცვლილების პროექტის მიხედვით, ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურების პროდუქტის წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობა აღარ არის დადასტურებული საფრთხის არსებობა. აღნიშნულ შემთხვევებშიც ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შედის და ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის მე-4 მუხლის მე-4-მე-6 ნაწილები, მე-8, მე-16 და მე-17 ნაწილები.

კოდექსს, ასევე, ემატება 3^1, მე-4 მუხლის 8^1 ნაწილი და III^1 თავი და ძალადაკარგულად ცხადდება კოდექსის მე-14 მუხლის 1^1 ნაწილი, მე-15 მუხლის „უ“ „ძ“ და „ჭ“-„ჰ^1“ პუნქტები, 19^1-19^3, 42^1-42^7 და 44-ე მუხლები.

ამასთან, კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის კოდექსის 27-ე, 28-ე და 29-ე მუხლებში, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას მომეტებული ტექნიკური საფრთხის

შემცველი ობიექტების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის და ხორციელდება აღნიშნული მუხლებით დადგენილი ჯარიმის ოდენობების გაზრდა.

ცვლილება შედის ასევე 38-ე მუხლშიც, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას გარკვეული სახის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე, კერძოდ: ბუნებრივი გამოქვაბული ან მღვიმე, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ამწე მოწყობილობა, ლიფტი და ესკალატორი მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ობიექტის მფლობელის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში შეუტყობინებლობისათვის (დაუყოვნებლივ 24 საათის განმავლობაში ან 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა) და ხორციელდება აღნიშნული მუხლით დადგენილი ჯარიმის ოდენობების გაზრდაც.

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილებებით, კოდექსის 31-ე, 34-ე და 37-ე მუხლებიდან აირსავსები და აირგასამართი სადგურების ამოღებით გასწორდება კანონში არსებული ხარვეზი.

კანონპროექტით ცვლილება შედის პროდუქტის კოდექსის 45-ე, 48-ე, 49-ე, 50-ე, 51-ე, 52-ე და 52[1] მუხლებშიც, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას სამშენებლო სამართალდარღვევებისათვის. მითითებული მუხლების მოქმედ რედაქციაში დადგენილი ჯარიმების ოდენობა არის დიფერენცირებული იმის მიხედვით, თუ სად ჰქონდა ადგილი სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, კერძოდ, მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, „საქართველოს ტყის კოდექსითა“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო - სარეკრეაციო ზონებში, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, თვითმმართველ ქალაქში, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - ქალაქში, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - დაბაში ან სოფელში.

წარმოდგენილი ცვლილებით ზემოაღნიშნულ მუხლებში თითოეული კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის განისაზღვრება ერთი საჯარიმო თანხა და იგი აღარ იქნება დიფერენცირებული იმ პრინციპით, თუ სად იქნა ჩადენილი სამართალდარღვევა.

კოდექსის 43-ე მუხლი ეხება უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებას და მასშიც საჯარიმო თანხები დიფერენცირებულია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა. 44-ე მუხლი კი ადგენს პასუხისმგებლობას იგივე სახის სამშენებლო სამართალდარღვევისათვის მხოლოდ მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, საქართველოს ტყის კოდექსითა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო - სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. აღნიშნულ მუხლში საჯარიმო თანხები კი დიფერენცირებულია იმის მიხედვით, თუ ვის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე იქნა ჩადენილი

სამართალდარღვევა, კერძოდ სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ თუ კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე.

ორივე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას ერთი და იგივე სახის სამართალდარღვევისათვის, თუმცა 43-ე მუხლში პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ იმ საფუძვლით, თუ სად ჰქონდა ადგილი სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ხოლო 44-ე მუხლში კი მითითებულია 43-ე მუხლისგან განსხავებული კონკრეტული ტერიტორიები და აქ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია ის, თუ ვის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე იქნა ჩადენილი სამართალდარღვევა. სწორედ ამ კრიტერიუმის საფუძველზე უნდა განისაზღვროს მხოლოდ ამ სახის სამართალდარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებით ხდება 43-ე და 44-ე მუხლების ერთ მუხლად გაერთიანება და 43-ე მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, სადაც პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, თუ ვის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წარმოებს უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან/და დემონტაჟი.შესაბამისად, როგორც აღინიშნა ხორციელდება 44-ე მუხლის ამოღება.

ამასთან, ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი და 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი. აღნიშნული ცვლილებით ზუსტად იქნება დადგენილი მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადაში უნდა შედგეს შემოწმების აქტი. ასევე, ამ აქტში აისახება ინფორმაცია მხოლოდ მითითების შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ.

შემოთავაზებული ცვლილებებიდან გამომდინარე, კოდექსის 25-ე მუხლის გარკვეული ნაწილები მოითხოვენ ტექნიკურ ცვლილებას, რაც წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-7 ნაწილში, მე-13 ნაწილში და 23-ე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტში მითითებულია კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, 49-ე მუხლი ქვეპუნქტებისაგან აღარ შედგება, შესაბამისად, ყველა ზემოხსენებულ ნორმაში ხორციელდება 49-ე მუხლის შესახებ მითითების ცვლილება.

პროექტის თანახმად, კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიხედვით, სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესასრულებლად შეიმუშაოს და გამოიყენოს სხვა ტექნიკური მიდგომა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მთავრობის სამართლებრივ აქტში კონკრეტული სტანდარტის გამოყენების შესახებ პირდაპირ არის მითითებული. ამავე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სტანდარტის, მათ შორის, მეთოდის, შერჩევა ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მთავრობის სამართლებრივ აქტში მითითებულია კონკრეტული სტანდარტის შესრულების სავალდებულოობა. ამასთან, პირს შეუძლია გამოიყენოს

საწარმოს შიდა სტანდარტი ან სხვა სტანდარტი, თუ ამით დაკმაყოფილდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მტკიცების ტვირთი გადადის მწარმოებელზე. აღსანიშნავია, რომ სტანდარტების სავალდებულოობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია არა მარტო მთავრობის ტექნიკური რეგლამენტებით, არამედ სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებითაც. ამდენად, ცვლილება ითვალისწინებს ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლის პირველი-მე-6 და მე-14 ნაწილებისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. კანონის პირველი მუხლის პირველი-მე-6 და მე-14 ნაწილები ამოქმედდება 2026 წლის 1 ივნისიდან, ვინაიდან, აღნიშნული ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები საჭიროებს რიგ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, წარმოშობს გარკვეულ ვალდებულებებს ეკონომიკური ოპერატორებისათვის, რომელთა ჯეროვნად შესრულებისათვის საჭირო არის გარკვეული დრო, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კანონპროექტი ითვალისწინებს ძალაში შესვლის სპეციალურ ვადას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან, შესაბამისად დაფინანსების წყაროს აუცილებლობა არ არსებობს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

წარმოდგენილი კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კერძოდ, პროექტის მიხედვით, სავალდებულო ხდება ავტორიზებულ წარმომადგენელზე წერილობითი მინდობილობის გაცემა. მინდობილობის გაცემის *(მინდობილობის დადასტურება)* მომსახურების საფასურია 10 ლარი. აღნიშნული მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის 15% (შპს-ს შემთხვევაში - მოგების გადასახადი) ან 20% (ინდ. მეწარმის შემთხვევაში - საშემოსავლო გადასახადი) მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება დადებით ფინანსურ გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. შემოსავლის ოდენობა დამოკიდებული იქნება მასზედ, თუ რამდენი მინდობილობა დადასტურდება საშუალოვადიან პერიოდში.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, თუ პროდუქტი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული პროდუქტის განადგურება, მისი სხვაგვარად გამოუსადეგრად ქცევა. აღნიშნული რეგულაციის უზრუნველსაყოფად პროექტის სიახლეს წარმოადგენს ეკონომიკური ოპერატორის მიერ ასეთი პროდუქტის განადგურება რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიები. მოცემული კომპანიები აღნიშნული მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის 15% (მოგების გადასახადი) მიმართავენ სახელმწიფო ბიუჯეტში. შესაბამისად, მოცემული ცვლილება დადებით ფინანსურ გავლება მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და მისი ოდენობა დამოკიდებული იქნება ასეთი კომპანიების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელ თანხის ოდენობაზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, იმ კუთხით, რომ ცვლილება ეხება ადმინისტრაციული და სამშენებლო სამართალდარღვევებისათვის დადგენილი ჯარიმის ოდენობების გაზრდას. ეს უკანასკნელი კი მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კი კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტი, სამშენებლო ზედამხედველობის სფეროში ითვალისწინებს ჯარიმების გაზრდას. კერძოდ, კოდექსის 27-ე-29-ე მუხლებით გათვალისწინებული ჯარიმები ორმაგდება, ხოლო 38-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის ჯარიმები ოთხმაგდება. სტატისტიკური მონაცემები მიხედვით, 27-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა 2024 წლის პირველი აგვისტოდან 2025 წლის პირველი აგვისტოს ჩადენილია 7 შემთხვევაში. ვინაიდან მოცემული სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმა 150 ლარიდან იზრდება 300 ლარამდე და 1 წლის განმავლობაში მოცემული სამართალდარღვევიდან

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში შესულია 1050 ლარი, საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა შესაბამის მუნიციპალიტეტში ჯამში მიემართოს 8400 ლარი (300* 7*4)[1].

ამასთან, პროექტი ითვალისწინებს ეკონომიკური ოპერატორის, მათ შორის, იმპორტიორის, მწარმოებლისა და ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ ისეთი პროდუქტის ბაზარზე განთავსების ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის ჯარიმის გაუქმებას, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შორის, ბირთვულ ნაერთებს, ან რომელიც შეიცავს სხვაგვარ საფრთხეს, კერძოდ, გადამუშავების შემდეგ შესაძლოა ინარჩუნებდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან/და გარემოსთვის. შესაბამისად, ვინაიდან ზემოხსენებული სამართალდარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმები უქმდება, აღნიშნული ცვლილება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, მისი შემცირების კუთხით.

პროექტით შეიცვალა უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოების შესახებ სამართალდარღვევის მუხლის კვალიფიკაცია და გაიზარდა ჯარიმის ოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება დადებით გავლენას მოახდენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. მოქმედი რედაქციით, თვითმმართველ ქალაქში ჩადენილი სამართალდარღვევა ჯარიმდება 3000 ლარით, მუნიციპალიტეტის დასახლებაში: ქალაქში - 2000 ლარით, დაბაში/ სოფელში - 200 ლარით. ცვლილების მიხედვით, მოცემული ჯარიმები სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ჩადენილი სამართალდარღვევისთვის განისაზღვრა 25 000 ლარით, ხოლო იგივე სამართალდარღვევა კერძო საკუთრებაში უძრავ ქონებაზე 8 000 ლარით, ხოლო უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება შენობა-ნაგებობის გაბარიტების შეუცვლელად, ან საინჟინრო-კომუნალური ქსელების უნებართვო რეკონსტრუქცია ნაცვლად 25 000 ლარისა განისაზღვრა 4 000 ლარით. როგორც აღინიშნა სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ჩადენილი სამართალდარღვევისთვის პროექტის ჯარიმად განისაზღვრა 8 000 ლარი, ხოლო არსებული რედაქციით მოცემულ ქმედებაზე ჯარიმად დადგენილია 20 000 ლარი. შესაბამისად, პროექტი მოცემულ ნაწილში გავლენას მოახდენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, შემოსავლების შემცირების კუთხით. შემცირებული თანხის ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევის სახესა და რაოდენობაზე.

პროექტით ასევე შეიცვალა ჯარიმის ოდენობა სანებართვო პირობების დარღვევისა და შეუსრულებლობის მუხლის კვალიფიკაცია. კერძოდ, სამართალდარღვევები არ კვალიფიცირდება ადგილმდებარეობის მიხედვით და ის ხდება ერთიანი მათ შორის ხორციელდება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონის შესახებ ჩანაწერისა და მოცემული ტერმინის განმარტების ამოღება. აღნიშნული

[1] 2024 წლის პირველი აგვისტოდან 2025 წლის პირველი აგვისტოს პერიოდში 28-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ჩადენილია 9-ჯერ, 29-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა - 4-ჯერ, 38-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა ერთხელ.

სამართალდარღვევების ჯარიმები 200, 500 ან 1000 ლარიდან გაიზარდა 20 000 ლარამდე. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება დადებით გავლენას მოახდენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, მისი გაზრდის კუთხით. აღნიშნული სამართალდარღვევა 2024 წლის 1 აგვისტოდან 2025 წლის აგვისტომდე ჩადენილია 14 შემთხვევაში. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში მოცემული სამართალდარღვევიდან ბიუჯეტში შესულმა თანხამ შესაძლოა შეადგინოს 1 120 000 ლარი (14*20 000*4). იგივე პრინციპით შეიცვალა კოდექსის 48-51[1] მუხლები, რომელთა მიერ განსაზღვრული სამართალდარღვევები აღარ კვალიფიცირდება ადგილმდებარეობის მიხედვით და ხდება ერთიანი. კერძოდ, კოდექსის 48-ე-მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის ჯარიმები (1000, 200, 50) შეიცვალა და ყველა შემთხვევისთვის განისაზღვრა 1000 ლარად, 49-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები (30 000, 500, 200, 50) - 30 000 ლარად, 50-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები (10 000, 1000, 200, 5 000) - 10 000 ლარად და 51 მუხლის ჯარიმები (200, 1000, 500, 50 000) - 50 000 ლარად. შესაბამისად აღნიშნული ცვლილებებიც დადებით ფინანსურ გავლენას მოახდენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, მისი გაზრდის კუთხით. ამასთან, აღსანიშნავია რომ „მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონის“ კოდექსიდან ამოღებამ გამოიწვია გამომდინარე პროექტის - „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (ვებგვერდი, 20/07/2023, სარეგისტრაციო კოდი -240110000.05.001.021008) საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანნის პროექტის მომზადების აუცილებლობა.

პროექტით ასევე ხორციელდება აირსავსები და აირგასამართი სადგურების შესახებ ჩანაწერების კოდექსის 28-ე, 31-ე, 34-ე და 37-ე მუხლებიდან ამოღება. წარმოდგენილი ცვლილებით ხორციელდება ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, ვინაიდან მოცემული სადგურების მიერ განხორციელებული შესაბამისი სამართალდარღვევის კვალიფიკაცია პრაქტიკაში ხორციელდებდა არა ზემოხსენებული მუხლებით, არამედ კოდექსის 27[1] მუხლით, რაც ავტოგასამართი, აირგასამართი ან აირსავსები სადგურის მიერ ავტომატური ვიდეოტექნიკის დამონტაჟების, აგრეთვე მისი ტექნიკური მახასიათებლებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევისთვის ითვალისწინებს პასუხისმგებლობას. შესაბამისად, მოცემული ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის და არ გააჩნია ფინანსური გავლენა.

პროექტით ასევე ხორციელდება კოდექსის 42[5] მუხლის ამოღება, რაც ითვალისწინებდა ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს განადგურების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობას. აღნიშნული სამართალდარღვევა მოქმედი რედაქციით, მხოლოდ რადიაქციული და ბირთვული პროდუქტებისთვის არის გათვალისწინებული. წარმოდგენილი პროექტით კი ყველა პროდუქტი, რომელიც შეიცავს შესაბამის საფრთხეს, ექვემდებარება განადგურებას. შესაბამისად, მოცემული სამართალდარღვევა საერთო სამართალდარღვევების მუხლში მოექცა და ამ მხრივ ფინანსურ გავლენას არ იქონიებს. ამასთან ასეთ დარღვევას პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია და სავარაუდოდ მომავალშიც არ ექნება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს არ ექნება გავლენა სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტით კოდექსს ემატება 13[1] მუხლი (III[1] თავის მოქმედების სფეროს), რომლის მე-3 ნაწილით დაზუსტდა, რომ აღნიშნული თავით რეგულირდება, როგორც საქართველოში წარმოებულ, ასევე, იმპორტირებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების წესი, რაც მოქმედი რედაქციის ფარგლებშიც ხორციელდებოდა. შესაბამისად, მოცემული ცვლილება ფინანსურ გავლენას არ იქონიებს.

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილების პროექტის 13[4] მუხლის მე-11-მე-14 ნაწილებით საკანონმდებლო დონეზე ხდება სსიპ - შემოსავლების სამსახურსა და სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების საკითხების მოწესრიგება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხები ანალოგიურად რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტების ფარგლებში, შესაბამისად, კანონში მათი გაწერა რაიმე დამატებით ვალდებულებებს არ წარმოშობს არც ეკონომიკური ოპერატორებისთვის და არც ადმინისტრაციული ორგანოებისთვის.

ამასთან, ცვლილების პროექტის მიხედვით, ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურების პროდუქტის წარმოების, დასაწყობებისა და შენახვის ადგილებში განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობა აღარ არის დადასტურებული საფრთხის არსებობა. აღნიშნულ შემთხვევებშიც ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2028 წლის 1 იანვრამდე ბაზარზე ზედამხედველობის პირველი ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების ვალდებულებას. აღნიშნული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდება არსებული ადამიანური და ტექნიკური რესურსის ფარგლებში. შესაბამისად, პროექტი მოცემულ ნაწილში არ იქონიებს ფინანსურ გავლენას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი იწვევს ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

კერძოდ, პროექტი ფინანსურ გავლენას მოახდენს მწარმოებელზე, მის მიერ ავტორიზებულ წარმომადგენელზე წერილობითი მინდობილობის გაცემის ნაწილში, ვინაიდან აღნიშნული მომსახურების საფასური შეადგენს 10 ლარს.

პროექტის თანახმად, კოდექსს ემატება 13^5 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური ოპერატორის ვალდებულებებს, როგორიცაა: ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსთან თანამშრომლობა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა, პროდუქტზე ნიშანდების დატანა და სხვს ვალდებულებები. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ვალდებულებებს ითვალისწინებს ყველა მოქმედი ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ადგენს ძირითად მოთხოვნებს ზედამხედველობას დაქვემდებარებულ პროდუქტებზე, ცვლილებით უბრალოდ ხდება ჰორიზონტალურ დონეზე ერთიანი ჩარჩოს შექმნა. შესაბამისად, ამ ნაწილში რაიმე დამატებითი ფინანსური ხარჯი ეკონომიკურ ოპერატორებს არ წარმოეშობათ.

ამასთან, წარმოდგენილი ცვლილების პროექტის 13^4 მუხლის მე-11-მე-14 ნაწილებით საკანონმდებლო დონეზე ხდება სსიპ - შემოსავლების სამსახურსა და სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელების საკითხების მოწესრიგება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხები ანალოგიურად რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტების ფარგლებში. შესაბამისად, კანონში მათი გაწერა რაიმე დამატებით ვალდებულებებს არ წარმოშობს არც ეკონომიკური ოპერატორებისთვის და არც ადმინისტრაციული ორგანოებისთვის. გამომდინარე აქედან, წარმოდგენილ ცვლილებას ფინანსური გავლენა არ აქვს.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, თუ პროდუქტი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული პროდუქტის განადგურება, მისი სხვაგვარად გამოუსადეგრად ქცევა. აღნიშნული რეგულაციის უზრუნველსაყოფად პროექტის სიახლეს წარმოადგენს ეკონომიკური ოპერატორის მიერ ასეთი პროდუქტის განადგურება საკუთარი ხარჯებით, რაც გაზრდის მათ ხარჯებს. ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება გასანადგურებელი პროდუქტის რაოდენობასა და თვისებებზე. ამასთან, აღნიშნული ცვლილება შემოსავლების გაზრდის კუთხით დადებით ფინანსურ გავლენას მოახდენს ამ მომსახურების გამწევ კომპანიებზე, , მეორეს მხრივ კი აღნიშნული მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის 15%-ის (მოგების გადასახადი) სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვა მათზე ფინანსურ გავლენას წარმოადგენს.

ამასთან, პროექტი ითვალისწინებს ეკონომიკური ოპერატორის, მათ შორის, იმპორტიორის, მწარმოებლისა და ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ ისეთი

პროდუქტის ბაზარზე განთავსების ან ისეთი პროდუქტის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის ჯარიმის გაუქმებას, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნული პროდუქტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, მათ შორის, ბირთვულ ნაერთებს, ან რომელიც შეიცავს სხვაგვარ საფრთხეს, კერძოდ, გადამუშავების შემდეგ შესაძლოა ინარჩუნებდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან/და გარემოსთვის. შესაბამისად, ვინაიდან ზემოხსენებული სამართალდარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმები უქმდება, აღნიშნული ცვლილება დადებით ფინანსურ გავლენას მოახდენს ზემოხსენებულ პირებზე, მათი ხარჯების შემცირების კუთხით.

პროექტით შეიცვალა უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოების შესახებ სამართალდარღვევის მუხლის კვალიფიკაცია და გაიზარდა შესაბამისი ჯარიმები, რაც გავლენას მოახდენს თვითმმართველ ქალაქში, მუნიციპალიტეტის დასახლებაში, მათ შორის დაბაში/ სოფელში და ქალაქში და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ტერიტორიაზე სამართალდამრღვევ პირებზე, კერძოდ გაზრდის მათ ხარჯებს. ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის სახეზე. როგორც აღინიშნა სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ჩადენილი სამართალდარღვევისთვის პროექტის ჯარიმად განისაზღვრა 8 000 ლარი, ხოლო არსებული რედაქციით მოცემულ ქმედებაზე ჯარიმად დადგენილია 20 000 ლარი. შესაბამისად, პროექტი მოცემულ ნაწილში სავარაუდოდ გავლენას მოახდენს სამართალდამრღვევების ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი ხარჯების შემცირების კუთხით. ხარჯების ოდენობის შემცირება დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევის სახეზე.

პროექტით ასევე შეიცვალა ჯარიმის ოდენობა სანებართვო პირობების დარღვევისა და შეუსრულებლობის მუხლის კვალიფიკაცია. კერძოდ, სამართალდარღვევები არ კვალიფიცირდება ადგილმდებარეობის მიხედვით და ის ხდება ერთიანი. აღნიშნული სამართალდარღვევების ჯარიმები 200, 500 ან 1000 ლარიდან გაიზარდა 20 000 ლარამდე. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება სავარაუდოდ გავლენას მოახდენს სამართალდამრღვევი პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი ხარჯების გაზრდით მხრივ. იგივე პრინციპით შეიცვალა კოდექსის 48-51[1] მუხლები. შესაბამისად აღნიშნული ცვლილებებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს სამართალდამრღვევი პირების ფინანსურ მდგომარეობაზე ხარჯების გაზრდით კუთხით.

პროექტის თანახმად, კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიხედვით, სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია. ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესასრულებლად შეიმუშაოს და გამოიყენოს სხვა ტექნიკური მიდგომა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მთავრობის სამართლებრივ აქტში კონკრეტული სტანდარტის გამოყენების შესახებ პირდაპირ არის მითითებული. ამავე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სტანდარტის, მათ შორის, მეთოდის, შერჩევა ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც საქართველოს მთავრობის სამართლებრივ აქტში მითითებულია კონკრეტული სტანდარტის შესრულების სავალდებულოობა. ამასთან, პირს შეუძლია გამოიყენოს საწარმოს შიდა სტანდარტი ან სხვა სტანდარტი, თუ ამით დაკმაყოფილდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მტკიცების ტვირთი გადადის მწარმოებელზე. აღსანიშნავია, რომ სტანდარტების სავალდებულოობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია არა მარტო მთავრობის ტექნიკური რეგლამენტებით, არამედ სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებითაც. ამდენად, ცვლილება ითვალისწინებს ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრას და შესაბამისად, მოცემული ცვლილება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი ცალკეულ შემთხვევებში ითვალისწინებს სამართალდარღვევებისთვის ჯარიმების გაზრდას, ვინაიდან არსებული ჯარიმების ოდენობა არ არის სამართალდარღვევებიდან გამომდინარე საფრთხეების შესაბამისი, კერძოდ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შედეგად შესაძლო მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით არის მცირე. ამასთან, ზოგიერთი ჯარიმების ოდენობის კორექტირება (გაზრდა) დღემდე არ განხორციელებულა და მათი ოდენობა არის იგივე, რაც იყო 2012 წელს, როდესაც ამოქმედდა პროდუქტის კოდექსი.

მაგალითისთვის, კოდექსის მოქმედი რედაქციით ამა თუ იმ კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დადგენილი დიფერენცირებული ჯარიმების ოდენობები სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან და სამართალდარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ქმნის გარკვეულ დისბალანსს. მაგალითად, კოდექსის 49-ე მუხლის მოქმედი რედაქციით მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, "საქართველოს ტყის კოდექსითა" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო - სარეკრეაციო ზონებში, აგრეთვე, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ჯარიმდება 30 000 ლარით, იგივე ქმედება თვითმმართველ ქალაქში ჯარიმდება - 500 ლარით, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - ქალაქში - 200 ლარით, მუნიციპალიტეტის დასახელებაში - დაბაში ან სოფელში - 50.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ერთი და იმავე სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დადგენილი ჯარიმების რაოდენობებს შორის სხვაობა აშკარაა. თითქმის ანალოგიური შემთხვევებია ყველა სხვა სამშენებლო სამართალდარღვევების სახეებთან დაკავშირებულ სანქციების მუხლებში. თითოეული კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ერთი საჯარიმო თანხის განსაზღვრა, აღმოფხვრის იმ აშკარა სხვაობას ჯარიმის თანხებს შორის, რაც არის კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში.

ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე, მათი მაღალი რისკის შემცველი სტატუსიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული ერთი და იმავე

სამართალდარღვევაზე საჯარიმო თანხების დიფერენცირება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეული კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის განისაზღვროს ერთი საჯარიმო თანხა, კერძოდ კი ის მაქსიმალური თანხა, რაც დადგენილია მოქმედ რედაქციაში არსებულ მუხლებში და მათი ოდენობა არ უნდა იყოს დიფერენცირებული იმ პრინციპით, თუ სად იქნა ჩადენილი სამართალდარღვევა.

გარდა ამისა, პროდუქტის კოდექსის მოქმედი რედაქციით, არსებულ მუხლებში საჯარიმო თანხებს შორის არსებული აშკარა სხვაობა და მუნიციპალიტეტის დასახელებაში - ქალაქში ან თუნდაც მუნიციპალიტეტის დასახელებაში - დაბაში ან სოფელში სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დადგენილი თანხები არის მცირე, შეიძლება ითქვას მიზერულიც ამავე მუხლებით სხვა ტერიტორიულ ერთეულებში ჩადენილ იმავე სახის სამართალდარღვევაზე.

ასევე, გარკვეული სახის მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ობიექტის მფლობელის მიერ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის დროის გარკვეულ პერიოდში შეუტყობინებლობისათვის (დაუყოვნებლივ 24 საათის განმავლობაში ან 72 საათის განმავლობაში შეუტყობინებლობა) განსაზღვრული ჯარიმების ოდენობაც მცირეა ამ მოთხოვნის დარღვევის შედეგად შესაძლო მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში სამართალდარღვევებისთვის ჯარიმების ოდენობების გაზრდა მიზანშეწონილია.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების 47-ე მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებასთან, რომლის თანახმად, საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების III-B დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან. III-B დანართში მითითებულია საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის (EC) 765/2008 რეგულაციასთან, რომელიც ადგენს მოთხოვნებს აკრედიტაციისა და ბაზარზე ზედამხედველობისადმი, პროდუქციის რეალიზაციასთან მიმართებით. ვინაიდან, „პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობისა და შესაბამისობის შესახებ“ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1020 რეგულაციით ცვლილება შევიდა (EC) 765/2008 რეგულაციაში და ძალადაკარგულად გამოცხადდა ბაზარზე ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმები, დღის წესრიგში დადგა ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული კანონმდებლობის (EU) 2019/1020 რეგულაციასთან დაახლოების საკითხი.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

კანონპროექტი გამომდინარეობს „პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობისა და შესაბამისობის შესახებ“ ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) 2019/1020 რეგულაციიდან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა, თუმცა კანონპროექტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა პოლონეთის, ლიეტუვის რესპუბლიკის და გერმანიის გამოცდილება ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში, ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის კუთხით.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.